პირველი ორი ქულა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 11 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი (მოსკოვი) – 2:1 (1:0).

“დინამო” (თბილისი) – ს. კოტრიკაძე, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, ა. კოტრიკაძე, რამიშვილი ხასაია, გაგნიძე, ღოღობერიძე, იამანიძე, ჭკუასელი (მესხი).

ცსკ მო (მოსკოვი) – რაზინსკი, პორხუნოვი, ლინიაევი, კრუტიკოვი, გრიშინი, პეტროვი (დუბინსკი), აპუხტინი, აგაპოვი, ბელიაევი, ბუზუნოვი, მიხინი.

მსაჯი: ა. ზიაბლიკოვი (ლენინგრადი).

თავისი მესამე კალენდარული მატჩისათვის თბილისის “დინამოს” 0 ქულა ეწერა გათამაშების ცხრილში. მართალია, გუნდი დაუმსახურებლად დაიჩაგრა წინა ორ შეხვედრაში, მაგრამ ასეა თუ ისე, უპირველესად ყოვლისა, სწორედ ეს “0” აიძულებდა დინამოელებს ყველაფერი გაეკეთებინათ, რათა ნაწილობრივ მაინც აენაზღაურებინათ პირველ ორ მატჩში დაკარგული.

სულ რამდენიმე წუთი იყო გასული მსაჯის პირველი სასტვენიდან და გუნდებმა უკვე ოთხჯერ მოასწრეს კუთხური საჯარიმოს მოწოდება. სამი მათგანი ყოველგვარი გართულების გარეშე იქნა მოგერიებული, ხოლო ერთი – უკანასკნელი, ბელიაევმა მეტად ძლიერი თავური გარტყმით გაგზავნა კარიდან მცირე დაცილებით.

პირველ ურთიერთშეტევებს მალე პირველი გოლიც მოჰყვა. მოწინააღმდეგის ერთ–ერთი იერიშისას ღოღობერიძემ მინდვრის სიღრმეში, თავის ნახევარზე დაიწია, მიიღო გადაცემა, რამდენიმე მოსკოველთან ბრძოლაში გადმოიტანა ბურთი ცენტრში და წინ გაუჭრა გაგნიძეს, რომელიც დიდი სისწრაფით შევიდა საჯარიმო მოედანში. გაგნიძის მიერ დარტყმული ბურთი რაზინსკიმ უკან დააბრუნა. მას მიუსწრო იამანიძემ, ახლო მანძილიდან ძლიერად დაარტყა და ანგარიში გაიხსნა – 1:0.

ასეთმა დასაწყისმა თბილისელთა რიგებში მეტი დამაჯერებლობა და დარწმუნებულობა შეიტანა. ღოღობერიძე, როგორც წესი უკან იყო დაწეული და მის ადგილზე ცენტრალურ ზონაში მორიგეობით გადიოდნენ ხან ჭკუასელი, ხან გაგნიძე. ამიტომ მოსკოველებმა თბილისელთა კაპიტანს “დარაჯად” გრიშინი მიუჩინეს, ხოლო ლინიაევი ებრძოდა იმ მოთამაშეს, რომელიც მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე შედიოდა განურჩევლად იმისა, თუ რა ნომერი ეწერა მას ზურგზე. უნდა ითქვას, რომ ლინიაევი ხშირად უშვებდა შეცდომებს თავისი ფუნქციების შესრულებისას, ვერ ერკვეოდა მოწინააღმდეგის კომბინაციურ ჩანაფიქრში, ხშირად აგზავნიდა ბურთს ხაზს გარეთ და არ ჰქონდა სათანადო ურთიერთკავშირი სხვა მცველებთან. ამის გამო ”დინამოს” შეტევის გენერალური ხაზი სწორედ ცენტრალური მცველის ზონაში გადიოდა, სადაც ხარვეზის შესავსებად იძულებული იყო, არმიელთა ძველი გვარდიის გამოცდილ ნახევარმცველს პეტროვს ემოქმედა.

საერთოდ, მოსკოველებს არ ჰქონდათ რელიეფურად გამოსახული ტაქტიკური ნახაზი და არც წამყვანი მოთამაშე – თავდასხმის ლიდერი არ ჰყავდათ, მათი გეგმა ძირითადად აგებული იყო მოთამაშეთა მაღალ ფიზიკურ მომზადებაზე, დიდ მანევრებზე, სისწრაფეზე, მაგრამ პრინციპში დამუშავებული სამოქმედო ვარიანტები მათ თამაშში არ ჩანდა. მაგალითად, შუამარბები აგაპოვი და ბუზუნოვი განუწყვეტლივ იცვლიდნენ ადგილებს, ბევრს მოძრაობდნენ, მაგრამ შეტევის გადამწყვეტ ეტაპზე, საჯარიმო მოედნის სიახლოვეს ყოველთვის ჩიხში ემწყვდეოდნენ და ვერ პოულობდნენ შექმნილი სიტუაციის გაგრძელებას.

“დინამოს” დაცვას მკაცრი კონტროლის ქვეშ ჰყავდა აყვანილი ყოველი თავდამსხმელი. ძიაპშპა შეუცდომლად ეთამაშებოდა ბელიაევს, ელოშვილმა და ხოჭოლავამ ფლანგებზე ჩაკეტეს გარემარბები, ხოლო კოტრიკაძე და რამიშვილი “საქმეთა ვითარებას” აქტიურად განაგებდნენ მინდვრის შუაგულში.

მართალია, ჩვენმა თავდასხმამ ეს მატჩი უფრო სუსტად ჩაატარა, ვიდრე წინა ორი, მაინც იგი თამაშობდა კოლექტიურად, შეთანხმებულად. ხუთივე ფორვარდი კარგ ფორმაში იმყოფება, მუშაობს დიდი დატვირთვით, გაშლილი ფრონტით, მაგრამ თბილისელებს ამ ბოლო ხანებში დასჩემდათ ერთი მავნე ჩვეულება, რომელსაც ზიანის გარდა არაფრის მოტანა არ შეუძლია.

დინამოელები ზედმეტად გაერთვნენ “კენჭისყრით”. მინდორზე ხშირად ნახავთ ასეთ სურათს: რამდენიმე მოთამაშე დგას ხელაწეული და მსაჯს სთხოვს სასტვენს. შეიძლება დარღვევას მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ თამაში, როგორც ცნობილია, წყდება მხოლოდ მსაჯის სასტვენის შემდეგ, ამიტომ გაჩერება და ბრძოლის შეწყვეტა იმის იმედით, რომ მსაჯი ჩაერევა თამაშში, ყოვლად დაუშვებელია. ეს პირველყოვლისა ეხება ჭკუასელს და ელოშვილს. აი, მაგალითი განვლილი მატჩიდან:

ტაიმის დასასრულს მიხინმა მიიღო ბურთი და გავიდა ფლანგზე. ელოშვილი გაჩერდა და აწეული ხელით მოტრიალდა მსაჯისაკენ სასტვენის მოლოდინში. ამასობაში მიხინმა ბურთი მიაწოდა ბუზუნოვს და მხოლოდ ამ უკანასკნელის არაზუსტმა დარტყმამ იხსნა კარი გოლისაგან.

ჩვენი კეთილი რჩევაა დინამოელთა მიმართ – ნურასოდეს ნუ დარჩებიან მსაჯის სასტვენის იმედით. მითუმეტეს, რომ მათ ამისი მწარე გამოცდილება საკმაოდ აქვთ.

პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ ანგარიშით 1:0. დაიწყო მეორე ტაიმი. უნდა პირდაპირ ითქვას: მეორე 45 წუთის განმავლობაში "დინამოს" თავდამსხმელებმა თამაში ცუდად ჩაატარეს. ბრძოლამ არმიელთა ნახევარზე თანდათან იკლო და დროდადრო სრულიად წყდებოდა კიდეც. მოსკოველებმა მიიღეს ის, რაც მათ სურდათ – მოქმედების თავისუფლება, რაც დაუყოვნებლივ იქნა გამოყენებული. მათ მცველებს მოაკლდათ დატვირთვა, გრიშინი მოსცილდა ღოღობერიძეს და თავდამსხმელებს შეუერთდა, რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტად ავიწროვებდნენ "დინამოს" დაცვას.

26–ე წუთზე მიხინმა მარცხენა მხრიდან ჩააწოდა ბურთი ბუზუნოვს, რომელმაც შეუჩერებლად გაგზავნა იგი კარში – 1:1.

დინამოელები ქულის დაკარგვის აშკარა საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ, მაგრამ ხელიდან გაშვებული უპირატესობის ხელახლა აღდგენა არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა. მხოლოდ მატჩის დასასრულისათვის შეძლეს თბილისელებმა თამაშის გადატანა სტუმრების კართან, სადაც კრიტიკულ მომენტებში ძიაპშპაც შედიოდა ხოლმე მაღალი ბურთის მისაღებად. ერთ–ერთ მომენტში მან სწორედ თავით მიაწოდა ბურთი წინ, ორივე გუნდის მოთამაშეთა დიდ თავშეყრაში და ხასაიამ ძლიერი დარტყმით შორ კუთხეში გაიტანა გადამწყვეტი ბურთი – 2:1.

მატჩის ბოლო წუთზე არმიელებმა უკანასკნელი იერიში მიიტანეს თბილისელთა კარზე და ს. კოტრიკაძემ ლამაზი, გაბედული ნახტომით იხსნა კარი გოლისაგან.

მაყურებლებმა ხანგრძლივი ტაშით გააცილეს მინდვრიდან მსაჯი ა. ზიაბლიკოვი, რომელმაც სავსებით სამართლიანად დაიმსახურა იგი თავისი ჩინებული, უშეცდომო მსაჯობით.

ბ. ქორქია.
"ლელო", 14 აპრილი, 1957 წ.